ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4341516

ნომერი: AR1655610

თარიღი : 16.01.2019

გაცემის თარიღი : 17.01.2019

გაცნობის თარიღი : 17.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 17 შინდისელი გმირის ქუჩა N20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია ცივაძე პ/ნ 61001027406
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ :
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტი ახლად აშენებული ჩამოყალიბებული იერსახის შენობაა, რომლის რეკონსტრუქცია, ცვლილება, მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, სმსახურის უფლებამოსილების გათვალისწინებით ,ფასადის ამ ნაწილში, არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული შენობის ყრუ ნაწილში კარის ღიობის მოწყობა ,ასევე მიუღებელია მსგავსი სახით საჩრდილობლის მოწყობა, ხოლო რაც შეეხება ვიტრაჟის ნაწილში ცვლილებას , შესაძლებელია მისი დანაწევრების ცვლილება მხოლოდ მისი მასალისა და ფერის ცვლილების გარეშე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან სამსახურის მიერ ამავე ფართის ფასადზე №2682980 და №3096935 გადაწყვეტილებით გაცემული იქნა სარეკლამო აბრების მოწყობის მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლებლობაზე თანხმობა და დღეის მდგომარეობით შეცვლილია მისი ნახატი (რომლის ცვლილებაზეც სამსახურის ელექტრონულ ბაზაში არ იძებმება სამართლებრივი საფუძვლის შემცველი ინფორმაცია),ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საჭიროა არსებული სარეკლამო აბრის დასადასტურებლად საქმის წარმოება წარიმართოს აბრებისა და რეკლამების განთავსების ნაწილში კორექტირების კუთხით და არა რეკონსტრუქციით შესაბამისად საჭიროა განახორციელოთ ნომენკლარურების ცვლილება აიჩიოთ იგივე ნომენკლატურები მხოლოდ- "აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია:" ნაცვლად ქმედებაში უნდა დააფიქსიროთ კორექტირება და შესაბამის ველებში დააფიქსიროთ №2682980 და №3096935 გადაწყვეტილებით შეთანხმებული ვერსიის რეკვიზიტები და წარმოადგინოთ დოკუმენტაცია მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული .

ასევე გაითვალისწინეთ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად უნდა დაიანგარიშოთ სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანოთ ფოტომონტაჟზე.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.